

monacemebi qveynis Sesaxeb

saqarTvelo

(2016)

migraciis saerTaSoriso organizaciam (IOM) maqsimaluri Zalixmeva mimarTa imisTvis, rom winamdebare informacia yofiliyo zusti da amomwuravi. magram, amavdroulad, IOM pasuxs ar agebs mis sisworeze da aseve, im daskvnebsa da Sedegebze, rac SeiZleba gamomdinareobdes IOM–is mier mopovebuli informaciidan.

სარჩევი

| | |
|--|----|
| I. შესავალი..... | 2 |
| 1. ჩამოსვლამდე ჩასატარებელი ღონისძიებები..... | 2 |
| 2. ღონისძიებები ჩამოსვლისთანავე | 2 |
| II. ჯანდაცვა | 3 |
| 1. ჯანდაცვის სისტემა..... | 3 |
| 2. მკურნალობა, პრეპარატების მისაწვდომობა და ფასები..... | 4 |
| III. შრომის ბაზარი და დასაქმება | 4 |
| 1. სიტუაცია შრომის ბაზარზე..... | 4 |
| 2. სამუშაოს მოძიებაში დახმარების გზები | 5 |
| 3. უმუშევრობის შემწეობა | 5 |
| 4. განათლების შესაძლებლობები, პროფესიული სწავლება..... | 6 |
| IV საცხოვრისი | 6 |
| 1. ზოგადი მონაცემები | 6 |
| 2. საცხოვრისის მოძიებაში დახმარება | 6 |
| 3. სოციალური გრანტები საცხოვრისისათვის..... | 6 |
| V. სოციალური უზრუნველყოფა | 6 |
| 1. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა..... | 6 |
| 2. საპენსიო სისტემა | 7 |
| 3. დაუცველი პირები | 8 |
| VI. განათლების სისტემა..... | 8 |
| 1. განათლების სისტემა | 8 |
| 2. მისაწვდომობა და რეგისტრაცია, განსაკუთრებით დაბრუნებული პირებისათვის | 9 |
| 3. ფასები, სესხები და სტიპენდიები..... | 9 |
| 4. უცხოური დიპლომების აღიარება და დამოწმება..... | 9 |
| VII. კონკრეტული დახმარება დაბრუნებული პირებისათვის | 10 |
| 1. სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამები | 10 |
| 2. ფინანსური და ადმინისტრაციული დახმარება | 10 |
| 3. ფინანსური დახმარება შემოსავლის მომტანი საქმიანობებისათვის..... | 10 |
| VIII. საკონტაქტო ინფორმაცია და სასარგებლო ბმულები..... | 11 |

I. შესავალი

1. ჩამოსვლამდე ჩასატარებელი ღონისძიებები

დაბრუნებულმა პირებმა უნდა:

- მოსთხოვონ დოკუმენტები გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებს, განსაკუთრებით საქართველოს გარეთ დაბადებული ბავშვების დაბადების მოწმობები, რომლებიც დამოწმებული იქნება აპოსტილით. სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებთ ბავშვის დარეგისტრირებას სახელმწიფო პოლიკლინიკაში უფასო აცრებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის, ასევე ბაღსა და სკოლაში მათ დარეგისტრირებას.
- თან წამოიღონ ყველა სამედიცინო და დასაქმებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რაც შეიძლება საჭირო იყოს საქართველოს კლინიკებისა და დამსაქმებლებისათვის.
- თან წამოიღონ მოქალაქეობასთან, განათლებასთან, სამედიცინო პრობლემებთან და ა.შ. დაკავშირებული დოკუმენტაცია, რაც საჭირო იქნება საქართველოში სწავლის, სამედიცინო და ა.შ. პრობლემების გადასაჭრელად.
- მიიღონ ინფორმაცია აეროპორტში ჩამოსვლისა და შემდგომი მგზავრობის შესახებ
 - აეროპორტიდან ქალაქში წასვლელად ძირითადი ტრანსპორტი არის ტაქსი. მგზავრობა თბილისის ცენტრამდე ღირს 25 ლარი.
 - თბილისის ავტო და სარკინიგზო სადგურებიდან შესაძლებელია ავტობუსით ან მატარებლით მგზავრობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში,
 - რადგან ფრენების უმრავლესობა საქართველოში ღამით ჩამოდის, როდესაც ავტობუსები და მატარებლები არ მოძრაობს, ტაქსი შესაძლოა ერთადერთი ტრანსპორტი იყოს შემდგომი მგზავრობისთვისაც.
- შეამოწმონ ჩატარებული ვაქცინაცია (განსაკუთრებით ბავშვებისათვის) ქვეყანაში შემოსვლისათვის ვაქცინაცია საჭირო არ არის, მაგრამ ბავშვები უნდა იქნან დარეგისტრირებული უბნის პოლიკლინიკაში, რათა მათზე გავრცელდეს უფასო გეგმიური აცრები
- მოიძიონ დროებითი თავშესაფარი
დროებითი განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სარეინტეგრაციო პროექტის ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში; თამარაშვილის ქ. 15ა; ტელ: +995322 43 11 00; +995322 31 13 37

2. ღონისძიებები ჩამოსვლისთანავე

დაბრუნებული პირი უნდა:

- დარეგისტრირდეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასა და საპენსიო დაზღვევის სისტემაში.
 - ჯანდაცვასა და საპენსიო დაზღვევასთან დაკავშირებით დარეკეთ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე 15-05
- დაუკავშირდეს იმ უწყებებს, რომლებიც სთავაზობენ საცხოვრისისა და სამუშაოს მოძიებაში დახმარებას
 - სოციალური მომსახურების სააგენტო (ცხელი ხაზი 15-05; ვებ გვერდი: ssa.gov.ge ; მისამართი: წერეთლის გამზ, N144, თბილისი)
 - საცხოვრისი მხოლოდ მარტოხელა დედებისა და ოჯახური ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის; დაუკავშირდით სოციალური მომსახურების სააგენტოს
- გააკეთოს განაცხადი სოციალურ შემწეობაზე, თუ არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ან სოციალურად დაუცველი

- გააკეთოს განაცხადი საბავშვო ბაღში, სკოლაში ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვის ჩასარიცხად
 - სოციალური მომსახურების სააგენტო (ბავშვზე ზრუნვა)
 - სკოლები და განათლება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქ. N 52, 0102, თბილისი; ცხელი ხაზი: (995 32 2) 200 220)
- ყველა სახის დოკუმენტის მიღება შესაძლებელია საჯარო რეესტრის რეგიონულ ოფისებში, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ 300 დასახელების სერვისი, როგორცაა პირადობის მოწმობის, პასპორტის, ქორწინების მოწმობის აღება, ასევე ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია და უძრავი ქონების რეგისტრაცია.

II. ჯანდაცვა

1. ჯანდაცვის სისტემა

ა. ზოგადი ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის შესახებ

საქართველოში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. პროგრამა გვთავაზობს ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის სხვადასხვა პაკეტს მოსახელობის სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფებისათვის.

საყოველთაო ჯანდაცვა:

- ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, აგრეთვე თავშესაფრის მაძიებლებზე (მათი განაცხადის განხილვის პროცესში), ჰუმანიტარული და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე
 - სტაციონარული მკურნალობა სრულად არის დაფარული, აგრეთვე ამბულატორიული მკურნალობის ნაწილი
 - აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოა; უფასოა აგრეთვე ინსულინი დიაბეტიანი პაციენტებისათვის
 - რამდენიმე კლინიკაში მოქმედებს დიალიზის პროგრამა
 - 5 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ დაავადების შესაბამისად
 - დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს და დარეგისტრირდით უახლოს კლინიკაში
 - ჯანდაცვის სფეროს პროვაიდერი დაწესებულებების სია შეგიძლიათ იხილოთ: <http://cloud.moh.gov.ge/Default.aspx?languagePair=ka-GE>

ბ. ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით დაბრუნებული პირებისათვის

- მონაწილეობა და მოთხოვნები: თუ პირი არის საქართველოს მოქალაქე, იგი ავტომატურად არის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის მონაწილე. პროგრამაში მონაწილეობისათვის დაბრუნებულმა პირმა უნდა მიმართოს უახლოეს კლინიკას ან ოჯახის ექიმს.
- რეგისტრაციის პროცედურა: საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია პროგრამაში მონაწილეობა. დაბრუნებულმა პირმა უნდა მიმართოს უზნის პოლიკლინიკას ამბულატორიული მომსახურების მისაღებად. თუ საჭიროა ოპერაციული ჩარევა, უნდა მიმართონ იმ კლინიკას, სადაც უნდა ჩატარდეს ოპერაცია. ყველა კლინიკა არის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის პროვაიდერი. სახელმწიფო ფარავს ოპერაციის ღირებულების 70-80%-ს. დანარჩენი თანხა უნდა დაფაროს პაციენტმა.
- საჭირო დოკუმენტაცია: ერთადერთი საჭირო დოკუმენტი არის ვადიანი პირადობის მოწმობა. სხვა საჭირო სამედიცინო დოკუმენტაცია გაიცემა კლინიკის მიერ.

გ. პროგრამის სერვისები

პროგრამა ფარავს გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებას უახლოეს პოლიკლინიკაში, ოჯახის ექიმის მომსახურებას (100%), ოჯახის ექიმის მიერ გადამისამართების შემდეგ შესაბამისი პროფილის ექიმის მიერ დანიშნულ ანალიზებსა და მკურნალობას (70-100%), ზოგიერთ

გადაუდებელ მომსახურებას (100%), გეგმიურ ოპერაციებს (70%), ქიმიოთერაპიას (80%) წლიური ლიმიტით 12000 ლარი, მშობიარობას (ლიმიტი 500 ლარი), საკეისრო კვეთას (ლიმიტი 800 ლარი).

დ. ხარჯები

ყველა სხვა ხარჯი, რასაც დაზღვევა არ ფარავს, უნდა გადაიხადოს პაციენტმა. პენსიონერებისათვის მთავრობას აქვს 100-ლარიანი დახმარება მედიკამენტებისათვის, რომელიც გაიცემა რაიონის გამგეობებში სამ თვეში ერთხელ.

2. მკურნალობა, პრეპარატების მისაწვდომობა და ფასები

ა. სამედიცინო დაწესებულებები და ექიმები

საქართველოში ყველა კლინიკა პრივატიზებულია. რადგანაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ვერ ფარავს ყველა ასპექტს, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ კლინიკას ნებისმიერ დროს საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა ეს სერვისი ფასიანია. უმჯობესია წინასწარ დარეკოთ კლინიკაში და ჩაეწეროთ მიღებაზე. გადაუდებელი შემთხვევებისათვის ფუნქციონირებს ცოცხალი რიგი.

- მთავარი მრავალპროფილური კლინიკები:
 - თბილისის ცენტრალური საავადმყოფო; მის: კონსტანტინე ჩაჩავას ქ. #1, თბილისი; ტელ: +995322 10 44 44;
 - სამედიცინო ცენტრი „ციტო“; მის: ზაქარია ალიაშვილის ქ, # 40, თბილისი; ტელ: +995322 29 06 71;
 - კლინიკური მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი; მის: თევდორე მღვდლის # 13, თბილისი; ტელ: +995322 34 81 19.

ბ. კლინიკაში მიღების პროცედურები

პაციენტებს შეუძლიათ დარეკონ და მიღებაზე ჩაეწერონ. საყოველთაო დაზღვევისათვის პაციენტებმა უნდა მიმართონ ოჯახის ექიმს (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), რომელიც მათ მიმართავს შესაბამისი პროფილის ექიმთან. ზოგიერთ კონსულტაციასა და მედიკამენტს ფარავს საყოველთაო დაზღვევა.

გ. წამლების მისაწვდომობა და ფასები

- საქართველოში აფთიაქების უმრავლესობა გვთავაზობს მედიკამენტების მრავალფერობან არჩევანს. კონკრეტული მედიკამენტის გაყიდვაში არსებობა შეიძლება გადამოწმდეს მათი დასახელებების ან აქტიური ნივთიერების მიხედვით ინტერნეტით ან ტელეფონით შემდეგ მისამართებზე:
 - სამედიცინო საინფორმაციო სამსახური
<http://www.mis.ge/ka/FindDrug.jsp?Clear=True> ტელ: +995 032 2 252233;
 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
<http://apps.ssa.gov.ge/recepti/Camlebi>
- წამლების უმრავლესობა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ასე რომ პაციენტებს თავად უხდებათ მათი შეძენა. ზოგიერთი წამალი გაიცემა მხოლოდ რეცეპტით. ასეთ შემთხვევაში პაციენტმა ჯერ უნდა მიმართოს შესაბამისი პროფილის ექიმს და მიიღოს რეცეპტი.

III. შრომის ბაზარი და დასაქმება

1. სიტუაცია შრომის ბაზარზე

ა. სამუშაო ძალა

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დონემ (15

წლის და ზემოთ) შეადგინა 67.8 %: 59.9 ქალაქში და 75.3 % სოფელში. მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტიურობის დონე სოფლებში განპირობებულია დაბალშემოსავლიანი დასაქმების შესაძლებლობებით სოფლად. საქართველოში დასაქმების დონე მაღალია საპენსიო ასაკის მოსახლეობაში (+65 წელი, 43 %), რადგანაც პენსია არ არის საკმარისი არსებობისათვის. ამავდროულად ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდა მოსახლეობა (15-25 ასაკობრივ ჯგუფში) ეკონომიკურად არააქტიურია იმ ახალგაზრდებთან შედარებით, რომლების სოფლად ცხოვრობენ და ძირითადად სოფლის მერნეობაში არიან თვითდასაქმებულები. დასაქმებული მოსახლეობის უმრავლესობა მიეკუთვნება 40-60 წლების ასაკობრივ ჯგუფს. უმეტესად მოსახლეობა დასაქმებულია შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (25 %); მრეწველობა (19%) და მშენებლობა (11%)

ბ. საშუალო შემოსავალი

საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე არის 284.50 (ფულადი და არაფულადი შემოსავალი მთლიანად)(2015, შინამეურნეობების აღწერის მონაცემები).

საშუალო თვიური ხელფასი ვაჭრობაში ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში, სადაც დასაქმების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის- შეადგენს 783.90 ლარს

გ. დასაქმებულის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენს 900.40 ლარს (2015 წლის მონაცემები).

ყველაზე მაღალი ხელფასებით გამოირჩევა საფინანსო შუამოვალის სფერო (1691.40 ლარი) და სახელმწიფო ადმინისტრირება (1342.70 ლარი)

დ. უმუშევრობის დონე

უმუშევრობის დონე საქართველოში ძალიან მაღალია და არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა. 16 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მუშაობის დაწყება. რაც შეეხება საჭირო დოკუმენტაციას, ეს დამოკიდებულია დამსაქმებელზე. სახელმწიფო სექტორში დასაქმებისათვის პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

2. სამუშაოს მოძიებაში დახმარების გზები

მომსახურების სექტორში აღინიშნება ყველაზე მაღალი მოთხოვნა მუშახელზე. სახელფასო განაკვეთების ნახვა შესაძლებელია:

http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=148&lang=geo

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით შემდეგ დაწესებულებებს:

- დასაქმების სახელმწიფო სააგენტო: ცხელი ხაზი 15-05 <http://ssa.gov.ge> ან <http://www.worknet.gov.ge>
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სააგენტო მის: რუსთაველის ქ, N 18, ბათუმი, ტელ: +995 32 222 222 ელ. ფოსტა: info@adjara.info.ge , ვებ გვერდი: www.hrajara.gov.ge/ge
- არსებული ვაკანსიების ვებ გვერდები: <http://www.jobs.ge> ან <http://www.hr.com.ge>

3. უმუშევრობის შემწეობა

საქართველოში უმუშევარი პირებისათვის შემწეობის პროგრამა არ არის.

4. განათლების შესაძლებლობები, პროფესიული სწავლება.

შემდგომი განათლების შესაძლებლობებისა და პროფესიული სწავლების საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიმიტრი უზნაძის ქ, N 52, 0102, თბილისი; ცხელი ხაზი: (995 32 2) 200 220

IV საცხოვრისი

1. ზოგადი მონაცემები

ა. ქირის საშუალო ოდენობა, კომუნალური გადასახადები (ელექტრობა, წყალი და ა.შ.)

თბილისში ოროთახიანი ბინის ქირა საშუალოდ არის 350 აშშ დოლარი თვეში და დამოკიდებულია უბანსა და ბინის ზოგად მდგომარეობაზე. კომუნალური გადასახადები თვეში ჯდება დაახლოებით 150-250 ლარი.

ბ. მოთხოვნა და მიწოდება

ქირავდება ბინების დიდი რაოდენობა. შესაბამისი ინფორმაციაშიძლება მოიძიოთ ვებ გვერდებზე www.myhome.ge და www.place.ge, ან გაზეთებში, როგორცაა „სიტყვა და საქმე“.

გ. საცხოვრისი დაბრუნებულ პირთათვის / სოციალური საცხოვრისი

თბილისში უსახლკაროთა თავშესაფარი მდებარეობს ლილოს დასახლებაში. თავშესაფარი გათვლილია 250 პერსონაზე და არის სათანადოდ აღჭურვილი. ერთი ოთახი გათვლილია 10-12 პერსონაზე. იმისათვის რომ დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღოს უფლება ამ თავშესაფარში დარჩენის იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- უნდა იყოს რეგისტრირებული თბილისში მინიმუმ ბოლო 2 წელი;
- უნდა იყოს შრომისუნარიანი;
- არ უნდა ჰქონდეს საკუთრებაში ქონება;
- არ უნდა ჰყავდეს შრომისუნარიანი ოჯახის წევრი ქონებით;
- არ უნდა ჰქონდეს სამედიცინო და კრიმინალური პრობლემები;
- უნდა შეეძლოს საკუთარი თავის მოვლა.

თავშესაფარი დროებითი განთავსების ცენტრია და იქ დარჩენა შესაძლებელია 10-18 თვე.

2. საცხოვრისის მოძიებაში დახმარება

დახმარებისათვის მიმართეთ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს; თამარაშვილის ქ. 15ა; ტელ: +995322 43 11 00; +995322 31 13 37

3. სოციალური გრანტები საცხოვრისისათვის

საცხოვრისისათვის სოციალური გრანტები არ გაიცემა

V. სოციალური უზრუნველყოფა

1. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა,

ა. ზოგადი ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შესახებ

- სოციალური უზრუნველყოფის სისტემა შედგება შემდეგი შემწეობებისაგან:
 - საარსებო შემწეობა
 - სარეინტეგრაციო დახმარება
 - მეურვეობა

- მოზრდილთა ოჯახური ზრუნვის ცენტრები
 - სოციალური დახმარება
 - სახელმწიფო კომპენსაცია
 - საყოფაცხოვრებო სუბსიდია
 - სოციალური პაკეტი
- დაუკავშირდით სოციალური მომსახურების სააგენტოს (ცხელი ხაზი 1505), სარეინტეგრაციო დახმარებისათვის +995322 43 11 00; +995322 31 13 37

ბ. ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით დაბრუნებული პირებისათვის

- მისაწვდომობა და მოთხოვნები: არსებობს კონკრეტული პროგრამები სპეციალური ჯგუფებისათვის (მაგ. ინვალიდების, მოხეცების, საარსებო მინიმუმს ქვემოთ ყვფი პირებისათვის) სადაც მიღების კრიტერიუმები მუდმივად იცვლება. დაბრუნებულმა პირებმა უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს ოფისს, შესავსონ სააპლიკაციო ფორმა და წარადგინონ პირადობის მოწმობა. სხვა საჭირო დოკუმენტაცია დამოკიდებულია მოთხოვნილი დახმარების ტიპზე. პირს კონსულტირებას გაუწევენ სააგენტოს თანამშრომლები. ყველა საჭირო დოკუმენტაციის ჩაბარებიდან ერთი თვის მანძილზე აპლიკანტი დახმარებას მიიღებს.

დეტალური ინფორმაცია ამ შემწეობებზე შეიძლება იხილოთ http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=24&lang_id=ENG

- რეგისტრაციისათვის უკან დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს ფილიალს. შემდეგი ეტაპი კი უკვე დამოკიდებულია დახმარების ტიპზე. მაგალითად, თუკი ადამინს სურს მიიღოს სოციალური დახმარების პაკეტი, სოციალური მომსახურების სააგენტომ გადახედავს მის აპლიკაციას და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს 10 კალენდარული დღის განმავლობაში. დამატებისთ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე www.ssa.gov.ge ან დარეკოთ ცხელ ხაზზე 15-05
- საჭირო დოკუმენტაცია: დამოკიდებულია დახმარების ტიპზე;

გ. შემწეობები

სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები ოჯახებს შესაძლებლობა აქვთ დაენიშნონ ფულადი დახმარება 10 - 60 ლარამდე ოჯახის თითოეულ წევრზე, (თანხის ოდენობა დამოკიდებულია ოჯახის სარეიტინგო ქულაზე)

2. საპენსიო სისტემა

ა. ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით დაბრუნებული პირებისათვის

- წინაპირობები/მოთხოვნები:
 - საპენსიო ასაკის მიღწევა: მამაკაცებისათვის - 65 წელი, ქალებისათვის - 60 წელი;
 - უნარშეზღუდულის სტატუსის მიღება;
 - მარჩენალის დაკარგვა
- რეგისტრაცია სოციალური უზრუნველყოფის/დაზღვევისათვის: განაცხადი უნდა გაკეთდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს ოფისში. გადაწყვეტილება მიიღება 10 დღეში. პირები, რომლებიც უცხოურ პენსიას იღებენ, საქართველოში სახელმწიფო პენსიას ვერ მიიღებენ.

- საჭირო დოკუმენტები: აუცილებელია პირადობის მოწმობისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა

ბ. ღირებულება

რეგისტრაცია უფასოა

გ. შემწეობა

სახელმწიფო პენსიის ოდენობაა 180 ლარი.

3. დაუცველი პირები

ა. დახმარება დაუცველი პირებისათვის

ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ თანდაყოლილი და შეძენილი ფსიქიკური დაავადებებით გამოწვეული დემენციის მქონე 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ასევე, ისეთი ფსიქიკური დარღვევების მქონე პირებს, რომლებიც საჭიროებენ ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას და რომელთა ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ არსებობს რეგიონული საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

VI. განათლების სისტემა

1. განათლების სისტემა

ზოგადი ინფორმაცია სისტემის შესახებ

- დაბრუნებულ პირებს შეუძლიათ ისწავლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს სხვა მოქალაქეების მსგავსად
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესასვლელად აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გაბარება. გამოცდის ჩაბარება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს საშუალო სკოლის ატესტატს. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც საზღვარგარეთ დაასრულეს საშუალო განათლება და/ან აქვთ საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლება, აგრეთვე შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ერთიან ეროვნულ გამოცდებში. რეგისტრაცია ხდება ვებ გვერდზე: <http://registration.emis.ge/>
- სახელმწიფო ბაღები არის უფასო. რეგისტრაცია ხდება ონ-ლაინ სამ ეტაპად.
 - ეტაპი 1 - სოციალურად დაუცველი პირებისათვის 1-5 ივლისი
 - ეტაპი 2 - იმ ბავშვებისათვის, რომელთა დედამამიშვილები დადიან იმავე ბაღში 5-10 ივლისი
 - ეტაპი 3 - ყველა სხვა ბავშვისათვის
- საერთაშორისო აკრედიტაცია აქვს 28 უნივერსიტეტს, 32 ინსტიტუტს და 14 კოლეჯს
- სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების დიპლომებს. საჭირო დოკუმენტები:
 - სააპლიკაციო ფორმა ქართულ ენაზე ან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი
 - პირადობის ასლი (უცხოეთის მოქალაქეებისათვის, ნოტარიალურად დამოწმებული პასპორტის თარგმანი)
 - თუ განაცხადს აკეთებს სხვა პირი: უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა)
 - თუ განაცხადს აკეთებს მშობელი: ბავშვის დაბადების მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი
 - თარგმნილი და ნოტარიალურად დამოწმებული ასლი საგანმანათლებლო დოკუმენტები:

- სრული ზოგადი განათლების მოწმობა და დანართი, საბაზისო განათლების მოწმობა და დანართი, დაწყებითი განათლების მოწმობა და დანართი
- პროფესიული განათლების მოწმობა და დანართი
- უმაღლესი განათლების დიპლომი და დანართი
- აკადემიური ხარისხის მინიჭების მოწმობა
- განაცხადის მოსაკრებელი 30 ლარი
- საზღვარგარეთ მიღებული ხარისხის აღიარება 60 ლარი

| განათლების დონე | Age |
|---|---------|
| ბავა-ბავა | 2-3 |
| საბავაშვო ბავა | 3-6 |
| დაწყებითი განათლება | |
| მაგ. დაწყებითი სკოლა | 6-12 |
| საშუალო განათლება | |
| მაგ. საშუალო სკოლა | 12-15 |
| მაგ. მე-8-მე-10 კლასები, პროფესიული მომზადება | 15-18 |
| უმაღლესი განათლება | |
| მაგ. კოლეჯი, უნივერსიტეტი, პროფესიული სკოლა | from 18 |

2. მისაწვდომობა და რეგისტრაცია, განსაკუთრებით დაბრუნებული პირებისათვის

დაბრუნებულ პირებს მიუწვდებათ ხელი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. სტუდენტები ირიცხებიან სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით

3. ფასები, სესხები და სტიპენდიები

ა. ზოგადი ინფორმაცია სწავლების გადასახადის შესახებ

სწავლა სახელმწიფო სკოლებში უფასოა. ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სტუდენტები იღებენ სახელმწიფო გრანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით. გრანტი მერყეობს 100%-დან 50%-მდე. 2014 წელს სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა 21 სტუდენტი.

ბ. სტიპენდიებისა და სესხების მისაწვდომობა და მოთხოვნები

სხვადასხვა ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში არსებობს სხვადასხვა სახისა და ოდენობის სტიპენდიები. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დაენიშნოს სახელმწიფო სტიპენდია და ასევე ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო გაცლით პროგრამებში, დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე

<http://mes.gov.ge/content.php?id=21&lang=geo>

4. უცხოური დიპლომების აღიარება და დამოწმება

- აღიარებას და დამოწმებას ექვემდებარება: ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება
- აღიარებას არ ექვემდებარება: სკოლამდელი განათლება (საბავაშვო განათლება); რეზიდენტურაში (სამედიცინო უნივერსიტეტის შემდგომი ტრენინგი) მიღებული განათლება და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისგან

მიღებული თანხმობით განხორციელებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება

- საჭირო დოკუმენტები:
 - ქართულ ენაზე მომზადებული სააპლიკაციო ფორმა, ან ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი
 - განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
 - სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
 - მშობლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, შვილის დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
 - საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
 - საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ჩვეულებრივი წარმოება (ერთი თვე) - 30 ლარი; უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის აღიარებისას - დაჩქარებული წარმოება (15 სამუშაო დღე) - 60 ლარი;
- უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში არაუმცირეს 2 წლისა. დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:
 - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ალექსიძის ქ, N 1; თბილისი; ტელ: 2 200 220, ელ-ფოსტა: info@eqe.ge

VII. კონკრეტული დახმარება დაბრუნებული პირებისათვის

1. სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამები

- თბილისის მობილურობის ცენტრი (აგრეთვე რეგიონული ოფისები)
- ქვემოთ მოცემული სერვისების ფონდი შეზღუდულია და ცენტრებში მისული ყველა ადამიანი დახმარებას ვერ მიიღებს
- მათ უნდა დააკმაყოფილონ პროგრამის კრიტერიუმები და უნდა განეკუთვნებოდნენ სოციალრად დაუცველ ფენას

2. ფინანსური და ადმინისტრაციული დახმარება

- იურიდიული დახმარება და მცირე ბიზნესის დაწყებაში დახმარება შესაძლოა დაფინანსდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ.

3. ფინანსური დახმარება შემოსავლის მომტანი საქმიანობებისათვის

- შემოსავლის მომტანი საქმიანობები შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ.

VIII. საკონტაქტო ინფორმაცია და სასარგებლო ბმულები

| | |
|---|--|
| <p>სოციალური მომსახურების სააგენტო Address: Social service agency, 144 Ak. Tseretveli avenue E-mail: info@ssa.gov.ge, Tel: 15-05 Website: www.ssa.gov.ge</p> | <p>დასაქმების სახელმწიფო სააგენტო Address: Tbilisi, 51, Javakhisvili street Website: worknet.gov.ge</p> |
| <p>განათლების სამინისტრო მის.: 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის # 52 ელ. ფოსტა: pr@mes.gov.ge ტელ: (+ 995 32) 220 02 20 ext. 1150 ვებ გვერდი: mes.gov.ge</p> | <p>თბილისის მერია. არაკომერციული ორგანიზაცია დროებითი თავშესაფარი მის: თბილისი, დიდი ლილო, ალ. ჯაფარიძის ქუჩა ტელ: 577 90 25 20</p> |
| <p>IOM მის: თემგიზ აბულაძის ქ. # 19, თბილისი, 0162 ტელ.: +995 32 225 22 16 +995 32 225 22 16 ფაქსი: +995 32 225 22 17 ელ. ფოსტა: iomtbilisi@iom.int</p> | <p>გაეროს საქართველოს ოფისი მის: ერისთავის ქ. # 9, თბილისი ტელ: 0322 25 11 26 ვებ გვერდი: www.ungeorgia.ge</p> |